საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-1363

16/09/2021

ქ. თბილისი

„გარდაბნის მუნიციპალიტეტში, სოფ. მარტყოფში შპს „მედიკალ ტექნოლოგის“ ნარჩენების განთავსების (ინსინერაციის) საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილების და სახიფათო ნარჩენების განსათავსებლად მიწისქვეშა საწყობის მოწყობის და ექსპლუატაციის პროექტზე სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 12 სექტემბრის N 2-867 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ

„გარდაბნის მუნიციპალიტეტში, სოფ. მარტყოფში შპს „მედიკალ ტექნოლოგის“ ნარჩენების განთავსების (ინსინერაციის) საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილების და სახიფათო ნარჩენების განსათავსებლად მიწისქვეშა საწყობის მოწყობის და ექსპლუატაციის პროექტზე სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 12 სექტემბრის N 2-867 ბრძანებით გაიცა სკოპინგის დასკვნა №89 (29.08.2021)

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-9 მუხლის მე-7 ნაწილის თანახმად, თუ საქმიანობის განმახორციელებელი სკოპინგის დასკვნის დამტკიცებიდან 2 წლის ვადაში ვერ მიიღებს გარემოსდაცვით გადაწყვეტილებას ამ კოდექსით გათვალისწინებული პროცედურების შესაბამისად, სკოპინგის დასკვნის დამტკიცების შესახებ მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ძალადაკარგულად ცხადდება.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-9 მუხლის მე-7 ნაწილის და „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 61-ე მუხლის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „გარდაბნის მუნიციპალიტეტში, სოფ. მარტყოფში შპს „მედიკალ ტექნოლოგის“ ნარჩენების განთავსების (ინსინერაციის) საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილების და სახიფათო ნარჩენების განსათავსებლად მიწისქვეშა საწყობის მოწყობის და ექსპლუატაციის პროექტზე სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 12 სექტემბრის N 2-867 ბრძანება;
2. ამ ბრძანების ასლი გაეგზავნოს შპს „მედიკალ ტექნოლოგის“
3. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „მედიკალ ტექნოლოგის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე

4. ბრძანების გაცემიდან 5 დღის ვადაში აღნიშნული ბრძანება განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და გარდაბნის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ №6), მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი